ASB საქართველო

წლიური ანგარიში 2021

www.ASB.ge

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

აბაშიძის ქუჩა N42
მესამე სადარბაზო, ბინა #28
თბილისი, 0179
ზუგდიდი, ლაზის ქუჩა #14, 0154

+995 32 2 29 00 06
info@asb.ge
ASBinGeorgia
@ASB_GE

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვინ ვართ 4

პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად (PPSP) 6

წარმატების ისტორია 8

ერთად შევძლებთ 12

თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის
საქართველოში სოფლად სოციალური სერვისების მიმწოდებლების დახმარება 14

ბორჯომში კლიმატის ცვლილების შესუსტების მიმართულებით შშმ პირთა დასაქმება 16

უსაფრთხო გარემო ქალებისთვის 18

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) 20

ვინ ვართ

წარმოვადგენთ ორგანიზაციას სახელწოდებით არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი, თუმცა ხშირად გვიწოდებენ ASB-ს. ვართ გერმანიიდან და გვაქვს საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია, კონკრეტულად კი 131 წელი. საქართველოში საქმიანობა 90-იანი წლებიდან დავიწყეთ, ვასრულებდით ჰუმანიტარული დახმარების მისიას ომისა და სიღარიბის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის. 1997 წლამდე პერიოდში **34 000** ადამიანზე მეტს დავეხმარეთ, რა მიზნითაც ორგანიზაციის მიერ **7,500,000** ევროზე მეტი გაიხარჯა.

2010 წელს ისევ დავბრუნდით საქართველოში განსხვავებული მისიით, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური სერვისების გაძლიერებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას, მათ ჩართულობას იმგვარ აქტივობებში, რაც გააძლიერებდა დევნილთა მდგრადობასა და კატასტროფების რისკის შემცირების (iDRR) ჩართულობით პროცესს; ასევე, მხარს ვუჭერდით საქართველოს სამარიტელთა ასოციაციას (სსკ). 2010 წლიდან ASB-მ განახორციელა **24** პროექტი, რაზეც გაიხარჯა **5,800,000** ევროზე მეტი. მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით **750,000** ადამიანზე მეტს გავუწიეთ დახმარება.

პროექტებს ევროკავშირის, გაეროს, აშშ-ის მთავრობისა და კანადის მთავრობის მხარდაჭერით ვახორციელებთ, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და რეალიზების ხელშეწყობას, თვითკმარობის გაზრდასა და კონფლიქტით დაყოფილ თემებს შორის ნდობის მშენებლობას; ასევე, სამოქალაქო ჩართულობას ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, ქალთა გაძლიერებასა და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევაში, სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების მხარდაჭერა საგანგებო სიტუაციების დროს საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

2021 წელს განვახორციელეთ შემდეგი პროექტები:

- **პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად (PPSP);**
- **„ერთად შევძლებთ“ - თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას რეგიონში;**
- **თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება;**
- **უსაფრთხო გარემო ქალებისთვის.**

გლობალურმა პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია 2021 წლისთვის დაგეგმილ პროექტის აქტივობებზე. თუმცა, ASB საქართველომ წარმატებით მოახდინა პროექტის აქტივობების ახალ რეალობაზე მორგება.

ფოტო ASB Deutschland/WELTERS

პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად (PPSP)

მიზნად ისახავს სამოქალაქო ჩართულობისა და პარტნიორობის გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ორ ამოცანას ისახავს: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) შესაძლებლობების გაძლიერება; სახელმწიფოსა და კერძო სექტორის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში მოხდა კავკასიის ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა ქსელის (CCC) გაძლიერება და ქსელის თითოეული წევრის შესაძლებლობების გაუმჯობესება. აღნიშნული ქსელის მიზანია მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომმა სოციალურმა სერვისებმა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ყველაზე დაუცველი ჯგუფების უფლებებისა და შესაძლებლობების სრულ რეალიზებას.

პროექტის დონორი:
ევროკავშირი

პროექტის ხანგრძლივობა:
4 წელი (2018-2022)

გეოგრაფიული არეალი:
მთელი საქართველო

2021 წელს, პროექტის ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმიანობა განხორციელდა:

- გაგრძელდა CCC ქსელის ორგანიზაციებისთვის შესაძლებლობების განვითარების პაკეტების მიწოდება;
- მხარდაჭერილ იქნა სამოქალაქო საზოგადოების 10 ორგანიზაციის ინიციატივა, ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;
- მოეწყო 10 სემინარი ადვოკატირებასა და ლობირებაზე.

#თანაბარიშანსები

წარმატების ისტორია

#მომავალიშენზეა
- საოჯახო სახლების ისტორია

„მყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი, როცა ვფიქრობდი ჩემი შვილის მომავალზე, ვფიქრობდი იმაზე, რომ დღეს ის გარშემორტყმულია ყურადღებით ოჯახის წევრების მხრიდან, მაგრამ როდესაც გამოვეცლებით ხელიდან მერე რა ხდება? რა ჩაანაცვლებს ამ ყველაფერს?“

მაია შიშნიაშვილი

ასე დაიბადა იდეა შექმნილიყო ოჯახთან მაქსიმალურად მიახლოებული საცხოვრისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. საჭირო იყო შექმნილიყო სერვისის მოდელი, რომელსაც შემდეგ შესთავაზებდნენ სახელმწიფოს, რომელიც თავის მხრივ გახდებოდა ამ სერვისის მხარდამჭერი და გარანტი.

საოჯახო ტიპის სახლი ოჯახთან მიახლოებული გარემოა სადაც შშმ პირებს საშუალება აქვთ იცხოვრონ, მიიღონ ის ზრუნვა და სერვისები, რასაც ოჯახურ გარემოში მიიღებდნენ. განსხვავებით დიდი ინსტიტუციებისა, როგორიცაა შშმ პირთა თავშესაფრები და ფსიქიატრიული საავადმყოფოები, აქ არ ხდება ამ ადამიანები გარიყვა საზოგადოებიდან, პირიქით, მაქსიმალური ხელშეწყობა ეძლევათ, რომ იყვნენ დამოუკიდებელნი, გამოავლინონ და განავითარონ საკუთარი უნარები, ეძლევათ საშუალება დასაქმდნენ და თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ. საქართველოში და პოსტ საბჭოთა სივრცეში პირველი ასეთი საოჯახო ტიპის სახლი გურჯაანში გაიხსნა. შენობა სადაც პირველი ასეთი ოჯახი დაფუძნდა, ამ იდეის ავტორს და ინიციატორს, სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაციის - „ხელი ხელს“ ხელმძღვანელს, მაია შიშნიაშვილს ეკუთვნოდა.

გამოჩნდა დონორი, რომელმაც ირწმუნა ამ იდეის და ენდო საორგანიზაციო ჯგუფს, თუმცა თანხები არ იყო საკმარისი საცხოვრებლის შესაძენად, რამაც გადააწყვეტინა მაიას საკუთარი სახლი დაეთმო ამ საქმისთვის. ამასობაში „ხელი ხელს“ CCC ქსელის წევრი გახდა, სადაც ორგანიზაცია გადიოდა სხვა და სხვა სააჭირო ტრენინგებსა და ადვოკატირების სემინარებს.

პირველი სახლის გახსნიდან სამი წლის შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ ეს მოდელი მუშაობს და წარმატებულია, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ხელი ხელს“ მაია შიშნიაშვილის თაოსნობით, შშმ ბავშვთა მშობლების მოძრაობასთან ერთად,

საოჯახო ტიპის სახლი ოჯახთან მიახლოებული გარემოა სადაც შშმ პირებს საშუალება აქვთ იცხოვრონ, მიიღონ ის ზრუნვა და სერვისები, რასაც ოჯახურ გარემოში მიიღებდნენ.

დაიწყო ადვოკატირება სახელმწიფოსთან, რომ ეღიარებინა ეს მოდელი და შეექმნა სტანდარტები მისი დანერგვისთვის.

სახელმწიფო პროგრამაში არსებობს სათემო საცხოვრისების ქვეკომპონენტი, რომლის მიხედვით, შესაძლებელია 24 ადამიანი აცხოვრო ასეთი ტიპის საცხოვრებელში, მაგრამ საოჯახო ტიპის საცხოვრებლის იდეა და მიზანი სხვა სტანდარტების დანერგვა იყო, ასეთი ტიპის სახლში მაქსიმუმ 5-6 ადამიანი ცხოვრობს, რაც ოჯახურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოს ქმნის. ვინაიდან ეს იყო პირველი საოჯახო ტიპის სახლი, მისი შესაფერისი სტატუსი კანონში ჯერ არ არსებობდა, ამიტომ „ხელი ხელს“ პროგრამაში მონაწილეობდა და დაფინანსებას იღებდა სათემო საცხოვრისის სტატუსით.

„ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ ჩვენ ვიყავით საოჯახო ტიპის საცხოვრებელი. მეკითხებოდნენ, რატომ გინდა ამ სტატუსის შეცვლა, ეს ხომ ხელს არ გიშლის საქმიანობაშიო, თუმცა სახელის დარქმევა ძალიან მნიშვნელოვანია. იმისათვის რომ ამ მოდელზე დაყრდნობით შეიქმნას სხვა საცხოვრისები, საჭიროა სწორი სახელდება“.

ადვოკატირების კამპანიამ დაიწყო მუშაობა სტატუსის შეცვლის მოთხოვნის კუთხით. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფებისთვისაც ძალიან ხილული გახდა ის ცვლილებები, რასაც ეს ადამიანები განიცდიდნენ მსგავსი მხარდაჭერის პირობებში, თუ როგორ იზრდება მათი დამოუკიდებლობის ხარისხი. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შევიდა კანონში ცვლილება და გაჩნდა ჩანაწერი „შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი საცხოვრებელი“.

კანონში შესული ცვლილება იყო მთავარი გამარჯვება. ამ დროს დაფინანსების გაზრდაზე საუბარი არ ყოფილა, პრიორიტეტული იყო სტატუსის მინიჭება. რაც უკვე ხარისხის გარანტიას წარმოადგენდა.

საბოლოო ჯამში შშმ ბავშვთა მშობლების ჩართულობით და მხარდაჭერით, სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაციის - „ხელი ხელს“ და მისი ხელმძღვანელის მაია შიშნიაშვილის მიერ სწორად მიმართული ადვოკატირების კამპანიის შედეგად, 2018 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილებით, შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობ საცხოვრებლებს დაფინანსება გაეზარდა იმ დროს არსებული დღეში 16 ლარიდან 30 ლარამდე.

ამ ეტაპზე საქართველოში 5 საოჯახო სახლია, სამი არის კახეთში და ორი თბილისში. თითოეულ სახლში 5-6 ოჯახის წევრია. თითოეულ ოჯახს ყავს ასისტენტი, არა ზედამხედველი ან ძიძა, არამედ მხარდამჭერი, რომლებიც ამ ადამიანებს უწევენ დახმარებასა და მხარდაჭერას დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ცხოვრების პირობებში.

ამ ეტაპზე საქართველოში 5 საოჯახო სახლია, სამი არის კახეთში და ორი თბილისში.

თითოეულ სახლში 5-6 ოჯახის წევრია. თითოეულ ოჯახს ყავს ასისტენტი, არა ზედამხედველი ან ძიძა, არამედ მხარდამჭერი, რომლებიც ამ ადამიანებს უწევენ დახმარებასა და მხარდაჭერას დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ცხოვრების პირობებში.

ერთად შევძლებთ

თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას რეგიონში

მიზნად ისახავს კატასტროფების რისკის მართვის სისტემის გაძლიერებას სომხეთსა და საქართველოში, განსაკუთრებული აქცენტით ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციებზე, შესაძლებლობების განვითარებისა და საზღვრის გადაღმა თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბების გზით.

პროექტის დასასრულს საქართველოსა და სომხეთში შეიქმნება საგანგებო სამედიცინო დახმარების ჯგუფები (EMT), რომლებიც გაივლიან WHO-ს გლობალური კლასიფიკაციის პროცესს. EMT-ები უფრო ეფექტურად უპასუხებენ კატასტროფებს. გარდა ამისა, გაღრმავდება საზღვრის მიღმა თანამშრომლობა სომხეთსა და საქართველოს შორის საგანგებო სიტუაციების დროს.

პროექტის დონორი:
ევროკომისია, ევროპის სამოქალაქო, დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატი (ECHO)

პროექტის ხანგრძლივობა:
2 წელი (2021-2023)

გეოგრაფიული არეალი:
საქართველო და სომხეთი

2021 წელს პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმიანობა განხორციელდა:

- საქართველოსა და სომხეთში ჩატარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფების (EMT) შექმნისა და ფუნქციონირების საჭიროებათა ანალიზი;
- ქართველმა და სომხურმა EMT-ებმა წარადგინეს ინტერესის გამოხატვის შესახებ შეტყობინება WHO-ს გლობალური EMT სიაში გაწევრიანების თაობაზე;
- ASB საქართველო გახდა სამართლებრივი საკითხების სამუშაო ჯგუფების წევრი ორივე ქვეყანაში;
- სომხეთსა და საქართველოში გაიმართა შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავების სემინარები.

თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

საქართველოში სოფლად სოციალური სერვისების მიმწოდებლების დახმარება

მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებების დაცვისა და რეალიზების მხარდაჭერას. პროექტი შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ 2014-2016 წლებში დამტკიცებულ შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული საქმიანობა ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ძირითად პრინციპებს, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, რომელსაც ხელი მოეწერა და რატიფიცირებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირების მიზნით სოციალურ-ეკონომიკური და ინტეგრაციაზე მიმართული საქმიანობების განხორციელების რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება შესაძლებლობას აძლევს ASB საქართველოს და მის პარტნიორებს - 'განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრს' და 'მოძრაობა - ყველასთვის ხელმისაწვდომ გარემოს', გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სოციალური სერვისის მიმწოდებელთა მხარდაჭერის მიმართულებით, საქართველოში სოფლის დასახლებებში.

პროექტის დონორი:
ევროკავშირი

პროექტის ხანგრძლივობა:
3 წელი (2018-2021)

გეოგრაფიული არეალი:
მთელი საქართველო

2021 წელს, პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმიანობა განხორციელდა:

DPO/CSO-ებისთვის ჩატარდა ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ინსტრუმენტების შესახებ;

ჩატარდა ტრენინგები სოფლად მცხოვრები ქალებისთვის. ტრენინგის მოდული მიზნად ისახავდა ქალთა ხელშეწყობას წამოიწყონ ადვოკატირების კამპანიები და ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ბორჯომში კლიმატის ცვლილების შესუსტების მიმართულებით შშმ პირთა დასაქმება

მიზნად ისახავს შშმ პირთათვის ინკლუზიური გარემოს შექმნას, საარსებო წყაროების მოძიებას სათბურებში მათი დასაქმების მხარდაჭერის გზით. გარდა ამისა, პროექტის მიზანია ბორჯომის ხეობაში ხანძრისა და კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ტყეების გაჩეხვის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით. კონსორციუმი შედგება Arbeiter-Samariter-Bund (ASB)-ის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, ადგილობრივი ხელისუფლების, სან დიეგოს უნივერსიტეტის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისგან, პროექტის განხორციელებას ხელს შეუწყობს ასევე კერძო სექტორი.

პროექტის დონორი:
GEF-ის მცირე საგრანტო პროგრამა

პროექტის ხანგრძლივობა:
ერთი წელი (2020-2021)

გეოგრაფიული არეალი:
ბორჯომი

2021 წელს პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:

ექსპერტის მიერ მომზადდა სანერგე მეურნეობის პროექტი. მოეწყო „საჩვენებელი გაკვეთილი“ ნერგების დარგვაში, რომელშიც ჩართული იყო ცენტრი „თებეს“ 10 ბენეფიციარი. სულ დაირგო 20 ძირი არყის, 20 კავკასიური ფიჭვის, 10 ევროპული ფიჭვის და 20 ენდემური ნაძვის (ადგილობრივი) ნერგი;

თებეს ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტარდათ 5 დღიანი ტრენინგი შშმ პირთა კატასტროფების რისკის შემცირების ჩართულობითი მიდგომის საკითხებზე.

უსაფრთხო გარემო ქალებისთვის

მიზნად ისახავს გენდერული ძალადობის აღმოფხვრას იძულებით გადაადგილებულებულ პირთა, კონფლიქტით დაზარალებულთა შორის და მასპინძელ თემებში საქართველოს მასშტაბით, განდერული ძალადობა გამოვლილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ასევე საჯარო მოხელეთა და მომვლელთა შესაძლებლობების გაუმჯობესებით (80 პოლიციელი, 180 სკოლის მასწავლებელი და 40 მომვლელი).

პროექტის დონორი:
კანადის მთავრობა

პროექტის ხანგრძლივობა:
ერთი წელი (2020-2021)

გეოგრაფიული არეალი:
თბილისი, სამეგრელო, აფხაზეთი (გალი)

2021 წელს პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:



შემუშავდა და ტრენინგის მონაწილეებს და სკოლის მასწავლებლებს დაურიგდათ სახელმძღვანელოები ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ; ასევე, პოლიციის თანამშრომლებს დაურიგდათ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ინსტრუქციები, ხოლო თავშესაფრის პერსონალს მიეწოდა მითითებები შესაბამისი კანონების/საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ;

ტრენინგი ჩაუტარდა:

- 72 პოლიციელს, ონლაინ ფორმატში, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებისა და მონიტორინგის ეროვნული მექანიზმით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულებების შესახებ;
- ზუგდიდის, ფოთის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, სენაკის, რუხისა და გალის სკოლების 186 მასწავლებელს ოჯახური და გენდერული ძალადობის საკითხების შესახებ, ამ თემების მიმართ მათი სენსიტიზაციის მიზნით. მასწავლებლები აღიჭურვნენ ბავშვთა და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ცოდნით;
- 40 თანამშრომელს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა თავშესაფარში ონლაინ ფორმატში ჩაუტარდათ საგანმანათლებლო კურსი შემდეგ თემებზე: კომუნიკაციის პრაქტიკული ინსტრუმენტები თავშესაფრის პერსონალის ყოველდღიური მუშაობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, სტრესის შემცირების ტექნიკა, გაცნობიერებაზე (mindfulness) დაფუძნებული სტრესის შემცირების პროგრამა, დროის მენეჯმენტი.

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ)

SSK დაარსდა 1992 წელს, ASB-ის ინიციატივით. 1990-იან წლებში ორი ორგანიზაცია, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებდა. ASB-სა და SSK-ს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება, ერთობლივი სოციალური პროექტების მეშვეობით.

2013 წლიდან საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) ახორციელებს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კავშირში. პროგრამა ეფუძნება “პორტაჟის” მეთოდოლოგიას. 2015 წელს SSK ოფიციალურად დარეგისტრირდა ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისების მიმწოდებლად. 2017 წლის 1 ოქტომბერს, ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA), ავსტრიული ფონდის AMINA-ს და ASB გერმანიის ფინანსური მხარდაჭერით, SSK-მა მსგავსი სერვისები შექმნა ქალაქ გორში და 2019 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა მომსახურების მიმწოდებლად გორის რაოინსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სოფლებში. SSK-მ 2019 წელს მესტიაში შექმნა მესამე ადრეული ჩარევის სერვისი. პროექტი გაგრძელდა ერთი წელი და მიზნად ისახავდა მაქსიმუმ 20 ბენეფიციარის მხარდაჭერას. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ვაუჩერული დაფინანსების სისტემა უზრუნველყოფს პროექტის ფინანსურ მდგრადობას.

2021 წელს SSK-მა წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები და პროგრამები:

ამ ეტაპზე მიმდინარე ყველა პროექტის მდგრადობა არის გარანტირებული.

www.ASB.ge